



ეროვნული

პროსტრუქციის ცენტრი



წლიური ანგარიში 2015

1. სარჩევი

სარჩევი	3
გენერალური დირექტორის წინასიტყვაობა	5
მნიშვნელოვანი თარიღები	7
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	9
მოგება ან ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	10
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	11
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	12
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	13
1. ზოგადი ინფორმაცია	14
2. მომზადების საფუძველი	15
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	23
5. თანამშრომლებზე განეული ხარჯები	23
6. სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	23
7. დაბეგვრა	23
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	25
9. კლიენტებზე გაცემული სესხები	25
10. ძირითადი საშუალებები	30
11. სხვა აქტივები	31
12. სესხები	31
13. კაპიტალი	32
14. რისკების მართვა, კორპორატიული მართვა და შიდა კონტროლი	33

CREDEX

1. გენერალური დირექტორის წინასიტყვაობა

მიუხედავად იმისა რომ 2015 წელი იყო ფინანსურად არასტაბილური და მრავლად იყო უარყოფითი მაკროეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ ადგილი ქონდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, ექსპორტის შემცირებას, რეგიონში არსებული ქვეყნების ეკონომიკების დასუსტებას, კრედიტის აქტივების ხარისხი არ გაუარესებულა, შენარჩუნებულ იქნა საკრედიტო პორტფელში გადახდების მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული მიღწეული იქნა სწორი საკრედიტო პოლიტიკით, კლიენტის შემოსავლების და აქტივების სწორად შეფასების კრიტერიუმების საშუალებით. ჩვენ შევძელით განგვეხორციელებინა ყველა დადგეგმილი პროექტი და მყარი საფუძველი ჩავვეყარა კრედიტის შემდგომი განვითარებისთვის.

კომპანიამ კვლავ შეძლო მნიშვნელოვნად გაზარდილიყო გასულ წელთან შედარებით და იმავდროულად კიდევ უფრო დაეხვეწა ხარისხი როგორც მომსახურების ასევე ფინანსური მაჩვენებლების კუთხით. კრედიტის ფინანსური სტაბილურობა და კორპორატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებული მენეჯმენტი აისახა ბანკებისადმი ნდობაში, რომლებმაც მრავალმხრივი ანალიზის და შესწავლის შემდეგ კრედიტს გაუზარდეს დაფინანსების მოცულობა, კერძოდ საქართველოში მოქმედმა უდიდესმა ბანკმა საქართველოს ბანკმა გააორმაგა საკრედიტო ხაზის მოცულობა, ხოლო ხალიკ ბანკმა და თიბისი ბანკმა დაამტკიცა ახალი საკრედიტო ხაზი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ინვესტორებთან ურთიერთობის და მათი დამატებითი მოტივაციის გაზრდის მიმართულებით, კერძოდ გარდა იმისა რომ კრედიტის ყოველწლიურ ფინანსურ აუდიტს ატარებს დიდ ოთხეულში მყოფი კომპანია KPMG, 2015 წელს კრედიტსმა ჩაატარა აუდიტი საგადასახადო და იურიდიული რისკების გამოვლენის და შემცირების მიზნით, რომლისთვისაც მოიწვია მსოფლიო ათეულში მყოფი აუდიტორული კომპანიები „ნექსია თი ეი“ და ბიდიო, რომლებმაც პოზიტიური შეფასება მისცეს კრედიტის საქმიანობას.

მიმდინარე წელს მოხდა გასულ წელს დანერგილი ახალი საკრედიტო პროდუქტების სრულფასოვნად იმპლიმენტაცია, ასევე მიმდინარეობს ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად სოციალურად ორიენტირებული საკრედიტო პროდუქტების შემუშავება და ღონისძიებების დაგეგმვა მათი პრაქტიკაში დასანერგად.

2015 წლიდან იგეგმება ფულადი გზავნილების სერვისის არეალის გაფართოება.

კრედიტის სოციალური მნიშვნელობის გაზრდის კუთხით, იგეგმება მოსახლეობის ფინანსურ რესურსებთან წვდომის გაზრდის შესაძლებლობა იმ რეგიონებში რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს, ასევე მომავალში იგეგმება კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, უპირატესად ქალბატონების.

კრედიტის უახლოს გეგმებშია ფილიალების გახსნა რეგიონებში და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობისთვის ინდივიდუალური ხელმისაწვდომი საკრედიტო პროდუქტების მიწოდება.

გენერალური დირექტორი

ზურაბ ახალაია

CREDEX

1. მნიშვნელოვანი თაჩილები


- ივლისი 2014** 2014 წლის ივლისში საბურთალოს ახალ სერვის ცენტრში დაიწყო ვალუტის გადაცვლის ოპერაციები, სადაც კომპანია კლიენტებს სთავაზობს ფორექს ოპერაციებს, ასევე სავალუტო ოპერაციების დერივატივების სერვისს საუკეთესო პირობებით
- ივნისი 2014** 2014 წლის ივნისში კრედექსის აქტივებმა გადააჭარბა 2 000 000 ლარს
- აგვისტო 2014** 2014 წლის აგვისტოში დაიწყო ძვირფასი ლითონების უზრუნველყოფით სალომბარდო სესხების გაცემა
- დეკემბერი 2014** 2014 წლის დეკემბერში სს საქართველოს ბანკთან გაფორმდა ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობაზე ფულადი გზავნილების ოპერაციების განხორციელებაზე
- დეკემბერი 2014** 2014 წლის დეკემბერში ესპანური კომპანია BID INITIATIVE DIRECTIONS-ის გადანყვეტილებით, კრედექსი დაჯილდოვდა ხარისხის ოქროს სერთიფიკატით, დაჯილდოვების ცერემონია გაიმართება 2015 წლის სექტემბერში ქ. ჟენევაში
- იანვარი 2015** 2015 წლის 28 იანვარს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ლიბერთი სექიურითიზ და ლიბერთი ფაინენს ფონდებთან სესხების გამოყოფის თაობზე
- თებერვალი 2015** 2015 წლის თებერვლიდან კრედექსის კლიენტებს მიეცათ საშუალება მიიღონ ფულადი გზავნილების ოპერაციების სერვისი, სწრაფად და მარტივად
- მაისი 2015** 2015 წლის მარტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს ბანკთან საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობზე
- აპრილი 2015** 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით კრედექსის საკრედიტო პორტფელმა გადააჭარბა 3 000 000 ლარს

1. FINANCIAL DATA


Supervised	Yes							
Years in the Market	4 year							
Exchange rate USD/LARI	1.657		1.736		1.864		2.395	
	3 month		12 month		12 month		12 month	
	31/12/2012		31/12/2013		31/12/2014		31.12.2015	
BALANCE SHEET	GEL	USD	GEL	USD	GEL	USD	GEL	USD
Assets	<u>1162302</u>	<u>701,577</u>	<u>1,761,629</u>	<u>1,014,588</u>	<u>2,458,529</u>	<u>1,331,523</u>	<u>4,074,605</u>	<u>1,701,367</u>
Treasury	113,530	68,528	49,898	28,738	88,413	47,442	74728	31,203
Gross Loan Portfolio	388,139	234,284	1,408,785	811,372	2,156,577	1,128,364	3871664	1,616,629
Provision	0	0	(14,088)	(8,114)	(24,223)	(12,998)	(59,253)	(24,741)
Fixed Assets	35,178	21,234	31,954	18,404	138,665	92,383	110630	46,194
Other Assets	625,455	377,531	285,080	164,188	99,097	76,332	76836	32,083
Liabilities	<u>1,162,302</u>	<u>701,577</u>	<u>1,761,629</u>	<u>1,014,588</u>	<u>2,458,529</u>	<u>1,331,524</u>	<u>4,074,605</u>	<u>1,701,367</u>
Deposits+Savings	0	0					0	
Borrowings	167,173	100,907	602,262	346,865	1,245,008	664,124	2594322	1,083,269
other liabilities		0	25,820	14,871	35,041	20,619	46668	19,486
NET CAPITAL	<u>995,129</u>	<u>600,669</u>	<u>1,133,547</u>	<u>652,852</u>	<u>1,178,480</u>	<u>646,781</u>	<u>1,433,615</u>	<u>598,612</u>
Paid-in Capital	1,000,000	603,610	1,000,000	575,937	1,000,000	536,596	1000000	417,554
Accumulated Reserves/ Losses		0			32,689	17,541	160551	67,039
Net Income	(4,871)	(2,940)	133,547	76,915	145,791	92,644	273064	114,019
INCOME STATEMENT								
Interest Income								
Loan clients	22,031	13,298	395,871	227,997	679,900	392,122	975,574	407,355
Investments income		0						
Interest Expenses	(923)	(557)	(51,651)	(29,748)	(109,099)	(62,834)	(287,368)	(119,992)
		0						
Financial Margin	<u>21,108</u>	<u>12,741</u>	<u>344,220</u>	<u>198,249</u>	<u>570,801</u>	<u>329,288</u>	<u>688,206</u>	<u>287,363</u>
		0						
Loan loss provision Expenses	0	0	(14,088)	(8,114)	(10,135)	(5,837)	(46,672)	(19,488)
Personal Expenses	(27,270)	(16,460)	(165,428)	(95,276)	(189,421)	(109,095)	(231,916)	(96,837)
Administrative Expenses	(13,839)	(8,353)	(77,183)	(44,453)	(133,384)	(76,821)	(216,700)	(90,484)
Operating Expenses		0	(256,699)	(147,843)	(332,940)	(191,753)	(495,288)	(206,809)
Operating Margin	<u>(41,109)</u>	<u>(24,814)</u>	<u>87,521</u>	<u>50,407</u>	<u>(314,677)</u>	<u>137,536</u>	<u>(266,283)</u>	<u>(111,188)</u>
		0						
Net Other Income (Expenses)	15,130	9,133	68,369	39,376	18,263	10,518	229,005	95,622
Net income before TAX	(4,871)	(2,940)	155,890	89,783	256,124	148,054	421,923	176,176
Income Tax	0	0	(22,343)	(12,868)	(39,523)	(12,868)	(63,288)	(26,426)
Net income after Tax	<u>(4,871)</u>	<u>(2,940)</u>	<u>133,547</u>	<u>76,915</u>	<u>216,601</u>	<u>135,186</u>	<u>358,635</u>	<u>149,749</u>
OPERATING INDICATORS								
No. of total clients		45	655		779		1319	
No. of active Borrowers		35	138		221		229	
Average loan size		6645	5747		5106		6,910	
No. of deposits								
Average Deposit size								
N of Employees		7	7		12		11	
N of loan officers		3	3		5		5	
N of Branches		1	1		2		2	

External Auditor: KPMG				
	31/12/2012	31/12/2013	31/12/2014	31/12/2015
FINANCIAL INDICATIONS	USD	USD	USD	USD
Capital Adequacy				
Leverage		53.13%	102.68%	180.96%
Assets/capital		1.55	2.06	2.84
PROFITABILITY				
ROA YTD		7.58%	9.46%	9.83%
ROE YTD		13.35%	18.74%	27.46%
ROA Average				
ROE Average				
LIQUIDITY				
Treasury/Assets		2.8%	3.6%	1.8%
Treasury/Gross Portfolio		3.5%	4.2%	1.9%
Treasury/Deposits+savings		8.3%	7.1%	2.9%
EFFICIENCY				
operating expenses/Total income		55.3%	47.6%	41.1%
Operating expenses/Avg. Gross Portfolio				
Personal Expenses/Operating Expenses		64.4%	56.9%	46.8%
Gross Portfolio/ Branches		\$811,371.88	\$564,181.96	\$808,314.33
N of loans Outstanding/Branches		138	111	115
Gross Portfolio/ loan officers		\$270,457.29	\$225,672.78	\$323,325.73
N of loans Outstanding/loan officers		46	44	46
Gross Portfolio/Employees		\$115,910.27	\$94,030.33	\$146,966.24
N of loans Outstanding/Employees		19.71	18.42	20.91
Asets < 1 year				\$973,847.00
Liabilites < 1year				\$555,510.00
PORTFOLIO QUALITY AND PROVISIONING				
Arrears > 1 days	4121	\$60,964	\$37,186	\$158,700
Arrears > 30 days	0	\$33,402	\$30,303	\$98,243
Arrears > 90 days	0	\$3,682	\$30,065	\$38,243
YTD W-offs		0	0	
Provision/Gross portfolio		1.0%	1.2%	1.53%
Provision/Arrears>1 days		13.3%	65.1%	15.59%
Provision/Arrears>30 days		24.3%	79.9%	25.18%
Provision/Arrears>90 days		220.4%	80.6%	64.70%


1. CREDIT PORTFOLIO BY INDUSTRY




1. CREDIT PORTFOLIO BY GENDER



1.FINANCIAL DATA CHART



1.FINANCIAL RATIOS CHART



CREDEX



KPMG Georgia LLC
4, Besiki Street, Tbilisi, 0108, Georgia
Phone: +995 (32) 2935695, Fax: +995 (32) 2935713
www.kpmg.ge

ღამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს "კრედექსის" სამეთვალყურეო საბჭოს ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრედექსის" (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, რომელიც წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვასა და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნიან შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, თუმცა აუდიტის უშუალო მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობისა და სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობის და, მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს KPMG Georgia
თბილისი, საქართველო
18 აპრილი 2016

KPMG Georgia LLC

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ლარი	შენიშვნები	2015	2014
საპროცენტო შემოსავალი	4	1,054,836	568,441
საპროცენტო ხარჯი	4	(288,054)	(109,100)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	766,782	459,341
სესხის გაუფასურების ანარიცხი	9	(44,633)	(10,135)
წმინდა საპროცენტო შემოსავლის სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		722,149	449,206
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		-	53,675
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა მოგება		122,650	18,264
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,823	58,120
სხვა საოპერაციო ხარჯები		(4,985)	(1,468)
თანამშრომლებზე განეული ხარჯები	5	(231,916)	(189,422)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(158,153)	(114,942)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	10	(30,388)	(17,227)
მოგება დაბეგვრამდე		421,180	256,206
მოგების გადასახადი	7	(62,545)	(39,523)
საანგარიშგებო წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		358,635	216,683

5-41 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2016 წლის 18 აპრილს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



ზურაბ ახალაია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



ნინო თავდიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ლარი	შენიშვნები	2015	2014
აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	8	74,728	88,414
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	3,812,411	2,132,353
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10	110,630	138,665
გადავადებული საგადასახადო აქტივი	7	3,956	-
სხვა აქტივები	11	72,880	99,097
სულ აქტივები		4,074,605	2,458,529
ვალდებულებები			
სესხები	12	2,594,322	1,245,008
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		33,266	13,401
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	7	-	2,886
სხვა ვალდებულებები		13,402	18,754
სულ ვალდებულებები		2,640,990	1,280,049
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება	13	433,615	178,480
სულ კაპიტალი		1,433,615	1,178,480
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,074,605	2,458,529

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	2015	2014
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		421,180	256,206
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		30,388	17,227
საპროცენტო შემოსავალი		(1,052,385)	(568,441)
საპროცენტო ხარჯი		288,054	109,100
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი მოგება		(115,393)	(18,264)
		(428,156)	(204,172)
<i>ცვლილებები:</i>			
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა		(1,131,410)	(644,523)
სხვა აქტივების შემცირება		6,608	(42,546)
სხვა ვალდებულებების შემცირება		(7,436)	15,612
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(1,560,394)	(875,629)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		1,037,552	557,490
გადახდილი პროცენტის ხარჯი		(282,715)	(105,329)
გადახდილი მოგების გადასახადი		(50,900)	(45,579)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(856,457)	(469,047)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,353)	(105,610)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(18,663)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(2,353)	(124,273)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
აქციონერების კაპიტალი		19,591	234,214
ფულადი სახსრები მიღებული სესხებიდან		1,904,521	1,152,435
სესხების დასაფარად განეული ფულადი გასავლები		(989,834)	(586,645)
გადახდილი დივიდენდები		(103,500)	(171,750)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		830,778	628,254
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(28,032)	34,934

The statement of changes in equity is to be read in conjunction with the notes to, and forming part of, the financial statements.

გაცვლითი კურსის მერყეობის ეფექტი ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებზე		14,346	3,582
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		88,414	49,898
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	74,728	88,414


ფინანსური ანგარიშგების უნიფიკაცია 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ლარი	სანესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,000,000	133,547	1,133,547
სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში			
მოგება და სრული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში	-	216,683	216,683
ოპერაციები დამფუძნებელთან, პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული			
სანესდებო კაპიტალის ზრდა	-	(171,750)	(171,750)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000,000	178,480	1,178,480
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,000,000	178,480	1,178,480
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
მოგება და სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	358,635	358,635
ოპერაციები დამფუძნებელთან, პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული			
გამოცხადებული დივიდენდები	-	(103,500)	(103,500)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,000,000	433,615	1,433,615

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მხრიდან 2016 წლის 18 აპრილს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:



გურამ ახალაია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი



ნინო თავდიშვილი
მთავარი ბუღალტერი

CREDEX

1. ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „კრედექსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2012 წლის 23 აგვისტოს. კომპანიის მიზანია მდგრადი საკრედიტო მომსახურების განწევა იმ ინდივიდუალურ მენარმეებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ საკრედიტო ხაზის მიღება ტრადიციული საბანკო სისტემის მეშვეობით. კომპანია უზრუნველყოფს საკრედიტო ხაზის გაცემას წვრილი მენარმეებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მათი ბიზნესის ზრდასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჭაბუკიანის ქუჩა, ნომერი 7, თბილისი, საქართველო.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საბჭო. კომპანიის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები ინიშნებიან აქციონერთა საბჭოს მიერ. კომპანიის ყოველდღიური ხელმძღვანელობა ხორციელდება მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს.

კომპანია დაარსეს საქართველოს მოქალაქეებმა, ვახტანგ ბართაიამ, მიხეილ ცოგოშვილმა და ზურაბ ახალაიამ. მათი წილი კომპანიის სანესდებო კაპიტალში შესაბამისად აქციათა 70%, 20% და 10% შეადგენდა.

2013 წელს, ვახტანგ ბართაიას აქციები გადაეცათ სოფიო დევდარიანსა (40%) და ნატალია კეკელიძეს (30%). 2014 წლის 31 დეკემბერისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მენილეები არიან შემდეგნი:

სოფიო დევდარიანი - 40%;

ნატალია კეკელიძე - 30%;

მიხეილ ცოგოშვილი - 20%;

ზურაბ ახალაია - 10%.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაფინანსების 34% (2014 : 55%) მოდის აქციონერებისგან. რის შედეგადაც კომპანია ეკონომიკურადაა დამოკიდებული აქციონერებზე და კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული აქციონერების მოთხოვნებთან. აქციონერებს აქვთ უფლება კომპანიის ოპერაციები საკუთარი შეხედულებისამებრ და თავიანთ სასარგებლოდ წარმართონ. მათ ასევე აქვთ სხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

(ბ) ბიზნეს გარემო საქართველოში

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მოზაღვის საფუძვლები

(ა) ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის რა საქართველოს ეროვნული ვალუტა ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

(დ) დაშვებების და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და დაშვებებისა გადახედვა ხდება რეგულარულად. გადასინჯული სააღრიცხვო დაშვებების აღიარება ხდება გადასინჯვის პერიოდსა და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მათ აქვთ გავლენა.

ინფორმაცია შეფასებებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს არსებული მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ აღწერილია შენიშვნაში 9 (ბ), რომელიც ეხება გაცემული სესხების გაუფასურების შეფასებას.

3. ანგარიშითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

(ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის მოქმედ ვალუტაში ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში მოქმედ ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტისა და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში) და საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგება ან ზარალში.

(ბ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა 3 თვეზე ნაკლებია. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არანარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი მოქმედ ბაზარზე კოტირებული არ არის, გარდა: რომელთა გაყიდვასაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში ვარაუდობს;

რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია განსაზღვრავს, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხულ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით;

რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია განსაზღვრავს, როგორც გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივს;

რომელთათვისაც კომპანიამ შესაძლოა ვერ ამოიღოს მთლიანი საწყისი ინვესტიცია, საკრედიტო გართულებების გარდა სხვა მიზეზის გამო;

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების შესაფერის კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება იმ მომენტიდან, როცა კომპანია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების შეძენის სტანდარტული შემთხვევები აღირიცხება ანგარიშსწორების წარმოების თარიღისთვის.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება რეალური ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციული დანახარჯები (იმ აქტივების ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არიან აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით), რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების (წარმოებული აქტივების ჩათვლით) აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით, გაყიდვის ან გადაცემისას განეული ტრანზაქციული დანახარჯების გამოკლების გარეშე, გარდა სესხების და მოთხოვნებისა, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა და მინუს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ტრანზაქციული დანახარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(v) რეალური ღირებულების შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო

მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს შეუსრულებლობის რისკს.

როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასი არ არსებობს, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადანყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობით. ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა შემდეგ სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად დადასტურდება დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით ან გარიგება დაიხურება.

(vi) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსავალი ან ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას ან გაუფასურებისას, და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა კომპანია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს. გადაცემულ ფინანსური აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება კომპანიაში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

კომპანია ჩამოწერს იმ აქტივების, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

(viii) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავენ უცხოური ვალუტის კონტრაქტებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების თავდაპირველად აღიარება ხდება იმ თარიღში, როდესაც წარმოებული კონტრაქტი ძალაში შედის და შემდგომში მისი გადაფასება ხდება რეალური ღირებულების შესაბამისად. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუკი მისი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუკი მისი რეალური ღირებულება უარყოფითია.

ცვლილებები წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაში დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ix) ჩათვლა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნეს აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

(დ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამონაკლისი გარდასახვის გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალება ისეთი მსხვილი კომპონენტებისაგან შედგება, რომელთაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად.

(ii) ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან ამენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როცა აქტივი დასრულებულია და მზადაა გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებებისთვის კომპანიას განსაზღვრული აქვს შემდეგი მომსახურების ვადები:

- კომპიუტერული აღჭურვილობა 3 წელი
- საოფისე აღჭურვილობა 5 წელი
- საიჯარო ქონების მოწყობა 5 წელი
- სხვა 7 წელი

საიჯარო ქონების მოწყობის ამორტიზაცია იჯარისა და მომსახურების ვადისგან უფრო ხანმოკლე პერიოდისთვის ხდება.

ცვეთის მეთოდები, მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღისას და კორექტირდება საჭიროების მიხედვით.

(iii) არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამონაკლისი გარდასახვის გამოკლებით.

შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ამ აქტივის შეძენასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები 10 წელს შეადგენს.

(ე) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, კომპანია განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ

და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმ გაუფასურების, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურირებას ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(i) ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები უმთავრესად შედგება სესხებისაგან (წარმოდგენილი #9 შენიშვნაში) და სხვა მოთხოვნებისგან (წარმოდგენილი #11 შენიშვნაში). კომპანია რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას გაუფასურების მაჩვენებლების შეფასების მიზნით.

კომპანია, პირველ რიგში, განსაზღვრავს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება თუ არსებობს განცალკევებით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, და ინდივიდუალურად ან ერთიანად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან აქტივებს არ წარმოადგენენ. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია სესხს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც ხდება და გრძელდება გაუფასურების ზარალის აღიარება, გაუფასურების ერთიანი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მათ შორის თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებული მომავალი ფულადი ნაკადების), რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მოთხოვნაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის შესაფასებლად საჭირო მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავს მსესხებლებთან დაკავშირებული მხოლოდ რამდენიმე ისტორიული მონაცემი არსებობს. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით კომპანია ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

(ii) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, კომპანიის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული სააანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე არსებული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ბარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ბარალი აისახება მოგებაში ან ბარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში.

გაუფასურების ბარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(ვ) სააქციო და საემისიო კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი მოიცავს კომპანიის კაპიტალს, რომელიც ავტორიზებულია აქციონერების მიერ კომპანიის რეგისტრაციისას. საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი.

(ii) დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

(ზ) დაბეგვრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ბარალში, იმ ოდენობის გარდა რაც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან მფლობელებთან ტრანზაქციებს, რომლებიც პირდაპირ კაპიტალში არის აღიარებული. ამ შემთხვევაში ის აღიარებულია სრულ შემოსავალში ან კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ შემოსავალზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს სააანგარიშგებო თარიღისთვის, და, აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირებებით.

გადავადებული გადასახადის დათვლა ხდება იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის. თავდაპირველი აღიარებისას არ ხდება იმ აქტივებისა და ვალდებულებების დროებითი სხვაობების გათვალისწინება, რომლებიც არ ახდენენ გავლენას არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს,

რასაც კომპანია მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აანაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(თ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენენ სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარებიან გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების განვებისას.

(ი) ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგული

მთელი რიგი სტანდარტები, აგრეთვე, დამატებები სტანდარტებსა და ახსნა-განმარტებებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამდენად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა.

ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოშვებული იქნება რამდენიმე ნაწილად და განზრახულია, რომ შეცვალოს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9-ის პირველი ნაწილი გამოშვებულია 2009 წლის ნოემბერში და ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებას. მეორე ნაწილი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე 2010 წლის ოქტომბერში გამოვიდა. სტანდარტის მესამე ნაწილი გამოშვებულია 2014 წლის ნოემბერში და ეხება ჰეჯირების ზოგად აღრიცხვას. სტანდარტი დასრულებული და გამოქვეყნებული იყო 2015 წლის ივლისში. საბოლოო ნაწილი ეხება საკრედიტო ზარალის მოდელს გაუფასურების გამოსაანგარიშებლად. კომპანია აცნობიერებს, რომ ახალ სტანდარტს შეაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და შესაძლოა იქონიოს არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ ცვლილებების გავლენის ანალიზი კომპანიას არ ჩაუტარებია. კომპანია არ აპირებს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. სტანდარტი ძალაში შევა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და გამოყენებული იქნება რეტროსპექტულად ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით.
- ფასს-ში შეტანილი სხვადასხვა ცვლილებები გადმოცემულია მრავალ სტანდარტში. ყველა ცვლილება, რომელიც გამოიწვევს სააღრიცხვო ცვლილებას წარმოდგენის, აღიარების და შეფასების მხრივ, მოქმედი გახდება არაუადრეს 2016 წლის 1 იანვრისა. კომპანიას ჯერ არ ჩაუტარებია ანალიზი აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო ზეგავლენისა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციებზე.

4. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ლარი	2015	2014
წმინდა საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხები	1,054,836	568,441
	1,054,836	568,441
საპროცენტო ხარჯები სესხები	(288,054)	(109,100)
	766,782	459,341

5. თანამშრომელზე განუდი ხარჯები

ლარი	2015	2014
თანამშრომელთა ანაზღაურება	231,916	189,422

6. სხვა საერთო აღმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2015	2014
საოპერაციო იჯარის ხარჯები	57,000	36,000
პროფესიული მომსახურების ხარჯები	46,561	19,724
საოფისე მარაგების ხარჯები	22,897	20,279
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	7,320	5,331
დაცვის ხარჯები	4,920	2,965
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ხარჯები	4,447	3,231
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯები	-	14,833
სხვა	15,008	12,579
	158,153	114,942

7. დაბეჭვნა

ლარი	2015	2014
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი გადავადებული მოგების გადასახადი დროებითი სხვაობების წარმოშობისა და ამონურვის შედეგად	69,387	36,302
სულ მოგების გადასახადი	(6,842)	3,221
	62,545	39,523

